ხელშეკრულება №13

დ. შუახევი 22 იანვარი 2019 წელი

ერთი მხრივ **შუახევის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის **ფრიდონ ფუტკარაძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის, მე-3-ე პუნქტის ა) ქვეპუნქტის ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ ჩატარება შუახევის მუნიციპალიტეტში და მასში შუახევის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა;

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2019 წლის 23 იანვარს , შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

1.3 79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

1.4 SMP190000288

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის შერჩევა და მისი შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.4.1. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;

2.4.2. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით, კონკურსი ჩაატაროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა.

2.4.3. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ შუახევის მუნიციპალიტეტში ჩატარებას გაუძღვეს „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

2.4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის ,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფრიდონ დავითაძე**

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება განხორციელდება ღონისძიების ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

4.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;

5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;

5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;

6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შუახევის მუნიციპალიტეტი	შპს „ეტალონი-მედია“
მისამართი: თამარ მეფის ქ. N30,	თბილისი, წერეთლის გამზირი №116,
დ. შუახევი	დიდუბე პლაზა, ოფისი №203
ს/კ 247865145	ს/კ 204572024
	სს „ბანკი ქართუ“
	კოდი CRTUGE22
	ა/ა GE08CR0030086101003608
მერი	დირექტორი
ფ.ფუტკარაძე	მ.ღოღობერიძე

shuakhevi municipality

Digitally signed by shuakhevi municipality
Date: 2019.01.23 09:43:12 +04'00'

LTD "ETALONI-MEDIA"

Digitally signed by LTD "ETALONI-MEDIA"
Date: 2019.01.22 18:11:55 +04'00'

ხარჯთაღრიცხვა

ხარჯის დასახელება	თანხა (ლარი)
კონკურსის შეკითხვების მომზადება-შერჩევა-რედაქტირება-პროგრამული დამუშავება „ეტალონის“ ექსკლუზიურ ფორმატში (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ჯგუფი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	800
„ეტალონის“ ექსკლუზიურ ფორმატში ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	1219
პროექტის საავტორო ჰონორარის ნაწილობრივი ანაზღაურება	489,47
ჯამი	2508,47
პლუს დღგ 18%	451,53
სულ	2960

დირექტორი მ.ღოღობერიძე

LTD "ETALONI-MEDIA"

Digitally signed by LTD "ETALONI-MEDIA"
Date: 2019.01.22 18:12:30 +04'00'

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დაბა შუახევი 22 იანვარი 2019 წელი

ვადასტურებთ , რომ „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონის“ ჩატარების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერი
ფრიდონ ფუტკარაძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის ,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი

ფრიდონ დავითაძე

shuakhevi municipality

Digitally signed by shuakhevi municipality
Date: 2019.01.23 09:44:12 +04'00'